



სამუშაო აღბილზე დასაქმებულთა დაღუპვის
შემთხვევების გამოძიების შეფასება

EMC

**სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა დაღუპვის
შემთხვევების გამოძიების შეფასება**

(პოლიტიკის დოკუმენტი)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

2020

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა პროექტის “შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართვა და დაზარალებულთა მხარდაჭერა” - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)” და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ „ღია საზოგადოების ფონდის” (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორების პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) შეხედულებებს.

დოკუმენტის ავტორი: ქეთი ჩუთლაშვილი

ხელმძღვანელი: კონსტანტინე ერისთავი

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი	4
1. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.....	5
2. გამომიების წარმოების მეთოდოლოგია.....	7
3. საგამომიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარების პრობლემა	8
4. საექსპერტო კვლევების დანიშვნის პრობლემა და დასკვნის მომზადების გაჭიანურება	9
5. მაღალი მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთის პრობლემა.....	10
6. გამომიების პროცესში გამოვლენილი სხვა პროცესუალური დარღვევები.....	11
7. შრომის ინსპექციის სამსახურისა და საგამომიებო ორგანოს თანამშროლობის საკითხი.....	13
8. სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა დალუპვის შემთხვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ სასჯელის გამოყენება.....	14
შეჯამება/რეკომენდაციები.....	15

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში შესწავლილია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე დაღუპვის შემთხვევებზე მიმდინარე გამოძიების პროცესი.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2018 წლიდან ამ დრომდე, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის **ოთხი** საქმის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში იცავს დასაქმების ადგილზე გარდაცვლილი ხუთი მუშის ოჯახის ინტერესებს. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება *მხოლოდ EMC-ის პრაქტიკაში არსებულ კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ანალიზს და არ გულისხმობს ამ დოკუმენტში გამოკვეთილი პრობლემების განზოგადებას სხვა მსგავსი ტიპის საქმეებზე.*

EMC-ის წარმოებაში არსებული ოთხი სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა) და 170-ე მუხლებით (შრომის დაცვის წესის დარღვევა) მიმდინარეობს.

სახელმწიფო უწყებებიდან მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, იქმნება წარმოდგენა, რომ გამოძიების დაწყების მაჩვენებელთან შედარებით დაბალია ამ დანაშაულებზე პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი¹. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის 244 ფაქტზე იქნა გამოძიება დაწყებული, ხოლო 2020 წლის მხოლოდ იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 185 ფაქტზე. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ამ დანაშაულის ჩადენის 25 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება 2019 წელს, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 23 შემთხვევაზე.² საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, 2019 წელს სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 36 შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 20 შემთხვევაში. 2019 წელს სსკ-ის 170-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 შემთხვევაში იქნა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 4 შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიუხედავად, მსგავსი ტიპის საქმეების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ვლინდება ცალკეული სამართლებრივი ხარვეზები, რომელთა იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია ადეკვატური სამართლებრივი შედეგის დადგომისა და მსგავსი ტიპის დანაშაულის პრევენციისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევების გამოძიების

¹ დანაშაულებრივ ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არსებითად უკავშირდება კონკრეტული პირის/პირების ბრალდებულად ცნობას და საქმის სასამართლოში განსახილველად წარმართვას.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 17 ოქტომბრის წერილი, 2020 წლის 12 ნოემბრის წერილი, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 29 ოქტომბრის წერილი, 2020 წლის 4 ნოემბრის წერილი

მეთოდოლოგია; მეთოდოლოგიის არარსებობის გამო ცალკეული საგამომიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება არათანმიმდევრულად და არასრულყოფილად ხორციელდება; გამოძიების პროცესში დანიშნული საექსპერტო კვლევები უმეტესად ჭიანჭურდება; უმეტეს შემთხვევებში არ იკვეთება დამსაქმებელი ორგანიზაციის მაღალი მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით არ დგება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთის შემთხვევაშიც, უმეტესად, ფორმდება საპროცესო შეთანხმება და არ ხდება რეალური სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა) გამოყენება.³

წინამდებარე დოკუმენტში შევაფასებთ ამ ხარვეზებს და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებში წარმოქმნილ სამართლებრივ პრობლემებს.

1. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსში

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, უსაფრთხოების წესების დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXI თავი ითვალისწინებს ცალკეულ სამუშაოთა წესების, მათ შორის სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის (240-ე მუხლი) დარღვევის გამო პასუხისმგებლობას, ხოლო XXIII თავით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევის (170-ე მუხლი) გამო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამუშაო ადგილზე დაშავებისა და დაღუპვის შემთხვევები უმეტესად სამთო, სამშენებლო ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევას უკავშირდება, შესაბამისად, გამოძიებაც სსკ-ის 240-ე ან 170-ე მუხლებით მიმდინარეობს. ორივე ნორმის ჩანაწერი ბლანკეტურია⁴, რაც გულისხმობს, რომ უსაფრთხოების სპეციალური წესები დადგენილია არა სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ სხვა სამართლებრივი აქტებით (უმეტესად საქართველოს მთავრობის დადგენილებით) და დანაშაულის დასადგენად უნდა შეფასდეს, რომელი სპეციალური წესი დაირღვა და ვინ იყო ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი. გასათვალისწინებელია, რომ ორივე ქმედება წარმოადგენს გაუფრთხილებელ დანაშაულს და განზრახვის შემთხვევაში კონკრეტული შემთხვევის აღნიშნული მუხლებით კვალიფიკაცია შეუძლებელია.

სსკ-ის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმედ დაზიანების შემთხვევაში, ხოლო მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის დროს. რა ითვლება მძიმე შედეგად, კოდექსი ცალსახად არ განსაზღვრავს, თუმცა, იურიდიულ დოგმატიკაში მითითებულია,

³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი, გვ. 188.

⁴ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2011, გვ. 334, გვ. 616.

რომ მძიმე შედეგად, შესაძლოა, განხილული იქნეს გარემოსთვის მიყენებული ზიანი ან მატერიალური ზიანი ორგანიზაციისთვის⁵. 170-ე მუხლი კი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესი ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ და დარღვევას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება ან ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა. ორივე შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის შეფასება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დგინდება.

სსკ-ის 240-ე და 170-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სანქციის სახით, ძირითად სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად გათვალისწინებულია თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მითითებული მუხლები არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იურიდიული პირების მიმართ. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 107¹-ე მუხლით გათვალისწინებულია იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, თუმცა, 107²-ე მუხლის მიხედვით: „იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით“. შესაბამისად, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობის შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კოდექსის შესაბამის მუხლში. სსკ-ის 240-ე და 170-ე მუხლები კი არ ითვალისწინებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, EMC-ის სამართალწარმოების არც ერთ შემთხვევაში იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრდება.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევებზე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს. საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ითვალისწინებს კონკრეტული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას⁶. ქვეყნები, რომლებიც არ აღიარებენ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში კორპორაციების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. სხვა ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ავსტრალია⁷), ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას, ხშირად, სწორედ კონკრეტული იურიდიული პირის სამუშაო პოლიტიკა და წესების დარღვევის ფაქტების უგულვებელყოფა უწყობს ხელს. შესაბამისად, პრობლემურია მხოლოდ ინდივიდუალურ ფიზიკურ პირთა სისხლისსამართლებრივი

⁵ იგივე. გვ. 617.

⁶ Civil and Criminal Liability in Relation to Occupational Safety and Health , იხ.: <https://www.iloencyclopaedia.org/part-iii-48230/resources-institutional-structural-and-legal/item/215-civil-and-criminal-liability-in-relation-to-occupational-safety-and-health>

OSH management: legal duties and compliance

იხ.: https://oshwiki.eu/wiki/OSH_management:_legal_duties_and_compliance#cite_note-DGUV.2C_2009-3

https://www.bgrci.de/fileadmin/BGRCI/Downloads/DL_Praevention/VISION_ZERO_NULL_IST_DAS_ZIEL/A006_Gesamtdokument.pdf

⁷ მაგ. იხ. Criminal liability for workplace deaths and injuries, Department of Justice Canada, 2019.

<https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/other-autre/westray/westray-2-eng.pdf>

იხ. About corporate manslaughter, UK, <https://www.hse.gov.uk/corpmanslaughter/about.htm>

პასუხისმგებლობით იურდიული პირის მიერ დადგენილი სამუშაო პრაქტიკის შეცვლა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტაში 2018 წლის 5 აპრილის და 16 ივლისის მემახტეთა დალუპვის შემთხვევები. ორივე სისხლის სამართლის საქმეში EMC-ი იცავდა დალუპული მემახტეების ოჯახის წევრების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 5 აპრილის მომხდარ შემთხვევაზე მაღალი მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებს დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამდენიმე თვეში, იმავე სამუშაო უბანზე ისევ დაირღვა უსაფრთხოების წესები, რასაც კვლავ რამდენიმე ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა. ორივე სისხლის სამართლის საქმის მასალები, კონკრეტული იურიდიული პირის სამუშაო პოლიტიკაში უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფის პრაქტიკაზე მიუთითებდა, ამასთან, ამ მძიმე საწარმოო შემთხვევებამდე მინდელის სახელობის შახტაში დაშავებისა და დალუპვის არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი⁸. თუმცა, ყველა შემთხვევაში ცალკეულ პირთა (უმეტესად მუშების) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით წყდებოდა საკითხი, რაც, ბუნებრივია, არ უწყობდა ხელს იურდიული პირის სამუშაო პოლიტიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის ცვლილებას და დანაშაულის რეციდივის თავიდან არიდებას.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, დანაშაულის პრევენციის მიზნით არსებითია, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის სისხლის სამართლის საქმეებში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე მსჯელობა. ამისთვის კი, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს.

2. გამოძიების წარმოების მეთოდოლოგია

EMC-ის მიერ შესწავლილი სისხლისსამართლებრივი საქმეების ანალიზით დგინდება, რომ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სამუშაო ადგილზე დაშავებისა და დალუპვის შემთხვევების გამოძიების სათანადო მეთოდოლოგიის არარსებობა. საქმეებში, რომელსაც მსგავსი მეთოდოლოგია უნდა ეხებოდეს, დანაშაულებრივი ქმედების დადგენა დამოკიდებულია ტექნიკური ნორმების დარღვევის დადასტურებაზე, რისთვისაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია თავიდანვე სწორად დაიგეგმოს ჩასატარებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და არსებული მტკიცებულებების მოგროვება და დამაგრება კანონის შესაბამისად განხორციელდეს.

სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსი სპეციფიკის დანაშაულთა გამოძიების სპეციალური მეთოდოლოგია არ გააჩნია და გამოძიება ზოგადი მეთოდოლოგიის მიხედვით მიმდინარეობს, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი დანაშაულთათვის გარკვეული მახასიათებლები სათანადო სამართლებრივი შეფასების მიღმა რჩება. მაგალითისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიის არარსებობის პირობებში, დანიშნული საექსპერტო კვლევების არათანმიმდევრული ჩატარება მტკიცებულების განადგურების მიზეზი ხდება; ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს არ ხდება მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვება ან ცალკეულ პირთა ქმედებების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება. სწორედ ამიტომ,

⁸ იხ. სახალხო დამცველის ანგარიში, 2018 წელი

არსებითია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს მსგავს დანაშულთა გამოძიების მეთოდოლოგია.

3. საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარების პრობლემა

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების წარმოების მეთოდოლოგიის არარსებობის გამო, ცალკეულ შემთხვევებში, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები არ ტარდება ან დაგვიანებით ან არასრულყოფილად ტარდება. EMC-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტარდება გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედებები ტარდება, გამოკითხვის ოქმები კი, არსებითად ერთმანეთის მსგავსია და გამოსაკითხ პირთა სამუშაო ადგილზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესების დაცვის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე ნაკლებად მახვილდება ყურადღება. ამავე დროს, გამოკითხვის მიმდინარეობისას ყურადღება არ მახვილდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების წესების სისტემური და ხშირი დარღვევის შესაძლებლობაზე, რაც შემდგომში გამოძიებას შესაძლებლობას მისცემდა, დაეგემა სხვა საჭირო საგამოძიებო მოქმედებები და გამოველინა მაღალი მენეჯმენტის პასუხისმგებლობა.

ცალკეულ შემთხვევებში გამოძიება უარს ამბობს იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხს ადგენდეს და ცალკეულ პირთა, მათ შორის მაღალი მენეჯერული რგოლის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე მიუთითებდეს. EMC-ის წარმოებაში არსებულ დასაქმებულის გარდაცვალების ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში, დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენლები უთითებენ, რომ დასაქმებულს სამუშაოების მიმდინარეობისას დამაგრებული არ ჰქონდა უსაფრთხოების ქამარი, რომელიც სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი მოძრავი ხარაჩოს ე.წ. „ლულკის“ ჩამოვარდნის მიუხედავად დაიცავდა და არ დადგებოდა მძიმე შედეგი. თუმცა, გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული იქნა მხოლოდ ერთი უსაფრთხოების ქამარი, მაშინ, როდესაც სიმაღლეზე სამუშაოებს სამი პირი ასრულებდა. მიუხედავად ამისა, გამოძიებას ამ დრომდე არ აქვს შესწავლილი, ჰქონდა თუ არა კომპანიას საკმარისი რაოდენობის უსაფრთხოების ქამრები, რამდენად იყენებდნენ სამუშაოების შესრულების დროს და იყო თუ არა თითოეული მათგანი გამოსაყენებლად ვარგისი. ამავე საქმეში, კომპანიის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ თავად გარდაცვლილმა დასაქმებულმა, კომპანიის მოთხოვნების გვერდის ავლით მოძრავ ხარაჩოზე აიყვანეს მესამე პირი და, სავარაუდოდ, დამატებითი პირის ყოფნამ გამოიწვია მოძრავი ხარაჩოს ჯაჭვის გაწყვეტა. სამშენებლო მოედანზე დამონტაჟებული იყო სათვალთვალო ვიდეო კამერა, სადაც შესაძლოა, დაფიქსირებულიყო, ვისი ინიციატივით აღმოჩნდა გარეშე პირი სამშენებლო ობიექტზე, იცოდა თუ არა კომპანიის პასუხისმგებელმა პირმა ამის შესახებ, მოახდინა თუ არა სათანადო რეაგირება – თუმცა, საგამოძიებო ორგანომ არ უზრუნველყო ვიდეო კამერის მონაცემების შესწავლა.

ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება **შემთხვევის ადგილის დათვალიერების საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე**. ადგილის დათვალიერება მსგავსი ტიპის დანაშაულთა გამოძიებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და, ცხადია, ამ საგამოძიებო მოქმედების სრულყოფილად ჩატარება სამართლებრივ შედეგზე ახდენს გავლენას. ამგვარი მნიშვნელობის მიუხედავად, EMC-ის პრაქტიკაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, საგამოძიებო ორგანოების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერება სამუშაო ადგილზე დაღუპვის შემთხვევებში ხშირად არასრულყოფილად

ხორციელდება. კერძოდ, არ აღიწერება მნიშვნელოვანი დეტალები, არ ხდება ცალკეულ მტკიცებულებათა ამოღება და შემთხვევის ადგილის დასურათება. მაგალითად, მინდელის სახელობის შახტაში 2018 წელს მომხდარი ორივე მძიმე საწარმოო შემთხვევის დროს საგამომიებო ორგანომ შემთხვევის ადგილი არ დაასურათა, დათვალიერების ოქმში სრულყოფილად არ აღწერა შემთხვევის ადგილი და უშუალოდ 16 ივლისის შემთხვევის გამოძიების დროს არ ამოიღო შახტაში დამონტაჟებული სენსორები, მაშინ როდესაც მნიშვნელოვანი იყო გამოძიებას შეეფასებინა კომპანიის მიერ დამონტაჟებული მეთანის, CO-ს, ჰაერის ნაკადისა და მეშახტეთა დეტექციის მაკონტროლებელი სენსორების მუშაობის საკითხი და ა.შ. საგამომიებო მოქმედებების არასრულყოფილი ჩატარება ან არჩატარება საბოლოოდ საქმის სამართლებრივ შედეგზე ახდენს გავლენას და ზოგიერთ შემთხვევაში მომხდარზე პასუხისმგებელი ყველა პირის პასუხისმგებლობის გამოვლენას ხელი ეშლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებთან ერთად, პრობლემურია ისიც, რომ საგამომიებო ორგანო, როგორც წესი, უარს ამბობს დამატებითი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებაზე, რომლებმაც, შესაძლოა, მაღალი მენეჯერული რგოლის მუშაკების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების შეუწყოს ხელი, თუმცა, ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვემოთ მიმოვიხილავთ.

4. საექსპერტო კვლევების დანიშვნის პრობლემა და დასკვნის მომზადების გაჭიანურება

EMC-ის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში გარკვეული არათანმიმდევრულობა ახლდა საპროცესო მოქმედებების, კერძოდ, საექსპერტო კვლევების დანიშვნის პროცესს. სსკ-ის 170-ე და 240-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემთხვევაში საჭიროა ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის შედეგად დგინდება უსაფრთხოების რომელი წესი იქნა დარღვეული და ვინ იყო მის დაცვაზე პასუხისმგებელი. ფაქტობრივად, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება დანაშაულის ჩადენისა და კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამდენად, დასკვნის მტკიცებულებითი ძალა საკმაოდ მაღალია. ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებამდე, როგორც წესი, აგრეთვე ცალკეული საექსპერტო დასკვნებით დგინდება სისხლის სამართლის საქმის ცალკეული გარემოებები. მაგალითად, ამოღებულ ნივთებზე არსებული კვალის შესწავლის მიზნით ინიშნება ტრასოლოგიური ექსპერტიზა ან მასალათა გამძლეობის შესახებ საექსპერტო კვლევა. აღნიშნული კვლევების დანიშვნის წინ გამოძიების მიერ უნდა განისაზღვროს კვლევების თანმიმდევრობა, რადგან კონკრეტული კვლევის დროს, შესაძლოა, განადგურდეს საკვლევი ობიექტი და მასზე შეუძლებელი გახდეს სხვა საექსპერტო კვლევის ჩატარება. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ზემოთ ნახსენები დასაქმებულის გარდაცვალების საქმეში, გამოძიების ფარგლებში ამოღებულ საკვლევი ობიექტზე ჯერ მასალათა გამძლეობის შესახებ დაინიშნა კვლევა, შემდგომ ტრასოლოგიური ექსპერტიზა, თუმცა, რამდენადაც მასალის ვარგისიანობის შემოწმების დროს განადგურდა საკვლევი ობიექტი, შეუძლებელი გახდა ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. ამდენად, მნიშვნელოვანია, საგამომიებო ორგანომ წინასწარ განსაზღვროს კვლევების თანმიმდევრობა და იხელმძღვანელოს შესაბამისი მეთოდოლოგიით.

საექსპერტო კვლევების თვალსაზრისით ყველაზე დიდ პრობლემას ექსპერტიზის დასკვნის მომზადების დრო წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, დასკვნის გარეშე ფაქტობრივად არ მიიღებს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება. თუმცა, ექსპერტიზის დასკვნის მომზადების პროცესი ხშირად ჭიანურდება. უმეტეს შემთხვევაში დასკვნის მომზადების პროცესი თითქმის ერთი წელი გრძელდება, რის გამოც დროულად ვერ ხერხდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება. სამართლებრივი შედეგის დადგომის გაჭიანურება კი დაზარალებულთა ან დაზარალებულის უფლებამონაცვლებებში საგამოძიებო ორგანოების მიმართ უნდობლობას, ფრუსტრაციას იწვევს. ამასთან ერთად, სამუშაო ადგილზე გარდაცვლილი პირის სიცოცხლის დაზღვევის არსებობისას დროში ჭიანურდება ანაზღაურების მიღებაც, რაც, შესაძლოა, ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ადამიანების ყოფა-ცხოვრებისთვის აუცილებელ თანხას წარმოადგენდეს.

5. მაღალი მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთის პრობლემა

დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე დაღუპვისა და დაშავების უმრავლეს შემთხვევაში არ დგება დამსაქმებელი მაღალი მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. EMC-ის სამართალწარმოების პრაქტიკაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მინდელის სახელობის შახტაში, 2018 წლის 5 აპრილს მომხდარი შემთხვევის დროს გამოიკვეთა მაღალი მენეჯერული რგოლის (შახტის დირექტორი, მთავარი ინჟინერი) პასუხისმგებლობა, რაც გარკვეულწილად საქმის სენსიტიურობამ და საზოგადოებრივმა პროტესტმა განაპირობა.

მაღალი მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთის სირთულე, ხშირად, მათი უფლებამოსილებების თანამშრომლებზე დელეგირების ფაქტით მართლდება. გამოძიების პროცესშიც ნაკლებად მახვილდება ყურადღება მაღალი მენეჯერული რგოლი პასუხისმგებლობაზე. კერძოდ, საგამოძიებო ორგანო ავტომატურად იზიარებს მხოლოდ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ ინფორმაციას ტექნიკური ნორმების დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. მაღალი მენეჯერული რგოლის მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევაზე სისტემური პრაქტიკის შესახებ ინფორმირებულობისა და ამგვარი სამუშაო პროცესის მიმდებლობაზე ყურადღება ნაკლებად მახვილდება. EMC-ის პრაქტიკაში არსებულ საქმეთა ნაწილში ჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ მაღალი მენეჯერული რგოლი ფლობს ინფორმაციას სამუშაოების უსაფრთხოების წესების დარღვევით ჩატარებაზე, თუმცა, ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით სამუშაო სტანდარტების დაცვაზე უარს ამბობს. საბოლოოდ კი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ კონკრეტულ პირს ეკისრება, რაც კომპანიის მხრიდან სამუშაოების უსაფრთხოების სტანდარტებით დაუცველად ჩატარების პრაქტიკის აღმოფხვრას არ უწყობს ხელს. ამდენად, მნიშვნელოვანია, გამოძიების პროცესში საგამოძიებო ორგანომ დეტალურად შეისწავლოს მაღალი მენეჯერული რგოლის მიერ კონკრეტული დარღვევების ცოდნის, უმოქმედობის საკითხი და ამ გარემოებების გავლენა მენეჯერული რგოლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

6. გამოძიების პროცესში გამოვლენილი სხვა პროცესუალური დარღვევები

სამუშაო ადგილზე პირების გარდაცვალების შემთხვევების გამოძიების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო ორგანოსა და დაზარალებულის უფლებამონაცვლეს შორის კომუნიკაციას. ეს აუცილებელია, ერთი მხრივ, იმისთვის, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ დროულად განხორციელდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა და მეორე მხრივ, დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ისარგებლონ მინიჭებული პროცესუალური უფლებებით. როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, რომელიც შეიძლება იყოს გარდაცვლილის ახლო ნათესავი. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილია დაზარალებულის/ უფლებამონაცვლის უფლებები, რომელთაგან ერთ-ერთია სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, მსგავსი ტიპის საქმეებში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის პროცესუალური მოქმედების გამარტივების ტენდენცია შეინიშნება. როგორც წესი, პროკურატურა გამოძიების დაწყებიდან მცირე ხანში უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას, განსხვავებით ადრინდელი პრაქტიკისგან, როდესაც საქმეში ექსპერტიზის დასკვნის მომზადებამდე ან კონკრეტული პირის მიმართ ბრალის წაყენებამდე არ ხდებოდა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, რაც, რა თქმა უნდა, ართულებდა გამოძიების მონიტორინგს.

დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის მიუხედავად, გამოძიების მონიტორინგის პროცესი, შესაძლოა, გართულდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლესა და გამომძიებელს/პროკურორს შორის არასათანადო კომუნიკაციის გამო. ხშირად, კანონით დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს საგამოძიებო ორგანო საკუთარი ინიციატივით არ აწვდის ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის შესახებ. დაზარალებულის უფლებამონაცვლეს თავად უწევს ინფორმაციის მოპოვება, თუმცა, ზოგჯერ გამომძიებელთან ან პროკურორთან სატელეფონო კომუნიკაციაც კი გართულებულია, წერილობითი პასუხის მიღება გონივრულ ვადაში არ ხორციელდება, რის გამოც, შესაძლოა, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ხანგრძლივი დროით არ ფლობდეს ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან სათანადო კომუნიკაციას მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურიც ვერ უზრუნველყოფს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის VII¹ თავით გათვალისწინებულია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს სამსახურის ფუნქციები, მათ შორის, დაზარალებულის უფლებამონაცვლის კონსულტაციის შესაძლებლობა. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციას, ერთი მხრივ, წარმოადგენს დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი, დაზარალებულის დაკავშირება მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო

ან/და სხვა მომსახურებასთან. თუმცა, EMC-ის სამართალწარმოების არც ერთ შემთხვევაში არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც პროკურატურას არ ჩაურთავს კოორდინატორი და მათი მეშვეობით არ უწარმოებიათ კომუნიკაცია დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან.

სამუშაო ადგილზე დალუპვის შემთხვევების გამოძიების დროს მნიშვნელოვან პროცესუალურ ხარვეზს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება. EMC-ის პრაქტიკაში არსებულ რამდენიმე საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების პროცესი დასრულდა და შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებები, მაინც გაჭიანურდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. EMC-ის დაკვირვებით, გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს გამომძიებლის მიერ საქმეზე საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარების პრობლემა და პროკურორის მიერ გაწეული არასათანადო საპროცესო ზედამხედველობა. კერძოდ, EMC-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ გამოძიების პროცესში, გამომძიებლის მიერ დაგეგმილი, ჩატარებული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ზედამხედველ პროკურორს და მას უფლებამოსილებიდან გამომდინარე აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მისცეს სავალდებულო მითითებები გამომძიებლებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ეფექტურობა. თუმცა, EMC-ის პრაქტიკის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც გამომძიებელმა ვერ შეძლო კონკრეტული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების იდენტიფიცირება ან არასრულყოფილად ჩატარა, რაზეც ზედამხედველმა პროკურორმა იმთავითვე არ განახორციელა სათანადო რეაგირება, საჭირო ხდება დამატებითი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება, რაც, რა თქმა უნდა, გამოძიების პროცესს ახანგრძლივებს და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება გონივრულ ვადაში ვეღარ ხერხდება.

EMC-ის დაკვირვებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებას ხელს უწყობს აგრეთვე კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაზე პასუხისმგებელი გამომძიებლების, ზედამხედველი პროკურორების ხშირი ცვლილება. EMC-ის წარმოებაში არსებულ, დასაქმებულის გარდაცვალების რამდენიმე საქმეში არაერთხელ შეიცვალა გამომძიებელი, პროკურორი, რამაც გააჭიანურა საქმის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების მიზეზთა შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქვემდგომი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან კონსულტაციის გავლის, დროში გაჭიანურების პრაქტიკა. როგორც ცნობილია, პრაქტიკაში, ქვემდგომი პროკურორი საპროცესო ზედამხედველობის დროს არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წინ კონსულტაციას გადის ზემდგომ პროკურორთან. კონსულტაციის გავლისა და შეთანხმების პროცესი კი ზოგჯერ დროში ჭიანურდება, რაც, თავის მხრივ, აჭიანურებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პროცესს.

7. შრომის ინსპექციის სამსახურისა და საგამოძიებო ორგანოს თანამშროლობის საკითხი

მომხმე, მავნე და საშიშპრობებიან დასაქმების ადგილას შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახური (შემდგ. შრომის ინსპექცია) ახორციელებს.⁹ დამსაქმებლის მიერ შრომის ნორმების დაცვის ინსპექტირების განხორციელებასთან ერთად შრომის ინსპექცია შეისწავლის შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტებს ნებისმიერი იდენტიფიცირებადი პირის მიმართვის საფუძველზე¹⁰. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შრომის ინსპექცია ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და დამსაქმებელ იურიდიულ პირს აკისრებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს. დამსაქმებელი იურიდიული პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს მომხდარ შემთხვევაზე გამოძიების დაწყებასა და კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე დაღუპვის ან დაშავების შემთხვევაში, შესაძლოა, გვექნოდეს ორი პარალელური წარმოება, კერძოდ, დამსაქმებელი იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ხოლო შემთხვევისა და ნორმის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება. ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს სამართლებრივი შეფასება არ ეძლევა იურიდიული პირისთვის დაკისრებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ამავე დროს, EMC-ის მიერ შეფასებულ საქმეებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გამოძიების ფარგლებში არ ხდება იმის შესწავლა, სამუშაო ადგილზე დაღუპვის ან დაშავების კონკრეტულ შემთხვევაზე შრომის ინსპექციის სამსახურს ხომ არ ჰქონდა განხორციელებული კონკრეტული დამსაქმებლის ინსპექტირება და როგორი იყო ინსპექტირების შედეგი. გამოძიების მიერ ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია დამსაქმებელი იურიდიული პირისა და მაღალი მენეჯერული რგოლის მიერ დასაქმების ადგილზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრაქტიკის გაცნობიერებისა და შესაბამისი სამართლებრივ შეფასებისთვის. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მაღალი მენეჯერული რგოლის ინფორმირება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრაქტიკის თაობაზე, რასაც მათი მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია, შესაძლოა, გამოძიების ფარგლებში შეფასდეს მათი შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შრომის ინსპექციის მიერ პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება დამსაქმებელ იურიდიულ პირს, მაშინ, როცა იურიდიული პირი გამოტოვებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებიდან.

გამოძიებისთვის აგრეთვე, შესაძლოა, საინტერესო იყოს თავად შრომის ინსპექტორებისგან მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, რამდენადაც როგორც EMC-ის პრაქტიკაში არსებული სისხლი სამართლის საქმეები აჩვენებს, შრომის ინსპექცია სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევის შემდეგ ახორციელებს ინსპექტირებას და აღწერს არსებულ დარღვევებს. შესაბამისად, შრომის ინსპექტორის გამოკითხვით გამოძიებამ, შესაძლოა, მიიღოს რელევანტური ინფორმაცია

⁹ იხ. „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი

¹⁰ შრომის ინსპექციის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-13 მუხლი.

კონკრეტული დარღვევის, დარღვევაზე პასუხისმგებელი პირისა და დამსაქმებლის შესახებ, ეს კი, შესაძლოა, გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვის ინსტრუმენტი გახდეს. ამდენად, მნიშვნელოვანია შრომის ინსპექციის სამსახურისა და საგამომიებო ორგანოს კოორდინაცია. EMC-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ გამოძიების ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურთან მსგავს თანამშრომლობას ნაკლებად აქვს ადგილი და შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგების გამოთხოვა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის მოთხოვნის შემდგომ ხდება. ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრაქტიკისგან განსხვავებით, შრომის ინსპექციის სამსახური განმარტავს, რომ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა დალუპვისა თუ დასახიჩრების შემთხვევაში აქტიურად თანამშრომლობენ საგამომიებო ორგანოსთან და საგამომიებო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე აწვდიან მათი მოკვლევის მასალებს.¹¹

საგამომიებო ორგანოსა და შრომის ინსპექციის სამსახურს შორის შესაძლო კოორდინირებული მუშაობის საკითხი გათვალისწინებულია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტით, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურისა და საგამომიებო ორგანოს კოორდინირებული მუშაობისა და ფუნქციონირების წესი, შესაძლებელია, დადგინდეს, აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის საკითხები, შესაძლებელია, განისაზღვროს მინისტრისა და შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის ერთობლივი ბრძანებით. თუმცა, ბრძანება ამ დრომდე არ არის შემუშავებული. შესაბამისად, საგამომიებო ორგანოსა და შრომის ინსპექციის სამსახურის შორის იქნება თუ არა კოორდინირებული მუშაობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს ინფორმაცია კონკრეტული საქმის გამომძიებელს შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციის შესახებ და თვლის თუ არა საჭიროდ მოკვლევის მასალების გაცნობას გამოძიების ფარგლებში.

8. სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა დალუპვის შემთხვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ სასჯელის გამოყენება

როგორც დოკუმენტის დასაწყისში აღინიშნა, დასაქმებული პირების სამუშაო ადგილზე დალუპვის შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირებთან, როგორც წესი, მტკიცდება საპროცესო შეთანხმება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით ეკისრებათ თავისუფლების აღკვეთა, რაც ეთვლებათ პირობითად. შესაბამისად, რეალური სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, როგორც წესი, არ ხდება. ამავე პრობლემაზე აგრეთვე უთითებს საქართველოს სახალხო დამცველი და ამბობს, რომ მაგალითად, 2018 წელს საქმეთა დაახლოებით 66 %-ის შემთხვევაში არ იქნა გამოყენებული რეალური სასჯელი¹²

მითითებული პრაქტიკა დასტურდება EMC-ის წარმოებაში არსებულ საქმეებშიც. კერძოდ, ორი დასრულებული საქმეში, რომელიც 2 ან მეტი პირის სამუშაო ადგილზე დალუპვას შეეხებოდა, აგრეთვე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და გამოყენებული იქნა პირობითი მსჯავრი. შესაბამისად, სახელმწიფო მსგავს შემთხვევებზე რეაგირებისას კვლავ არ იჩენს მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას.

¹¹ შრომის ინსპექციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მიღებული ინფორმაცია.

¹² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი, გვ. 188.

შეჯამება/რეკომენდაციები

დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა ყველა იმ ფუნდამენტურ სამართლებრივ ხარვეზზე, რაც EMC-ის სამართალწარმოების პრაქტიკაშია გამოკვეთილი და რაც ართულებს სამუშაო ადგილზე დალუპვისა და დაშავების შემთხვევების ეფექტურ გამოძიებას. ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების წარმოებისთვის კი მნიშვნელოვანია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს:

- საქმეზე სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების წარმოების მიზნით სამუშაო ადგილზე დალუპვისა და დაშავების შემთხვევების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება განხილული საქმეზე ჩასატარებელი ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ეტაპი, მათი თანმიმდევრობა, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებით მოსაპოვებელი მტკიცებულება და მათი მნიშვნელობა საქმისთვის, გამოკითხვის (აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას) საგამოძიებო მოქმედების დროს დასაქმებული და დამსაქმებელი პირებისგან მისაღები ინფორმაცია და სწორად შერჩეული კითხვების მეშვეობით ადეკვატური ინფორმაციის მიღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების სპეციფიკა, დასანიშნი ექსპერტის რიგითობის განსაზღვრა, ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები და სხვ.
- შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გამომძიებელთა გადამზადება, რათა მათ აითვისონ სამუშაო ადგილზე დალუპვისა და დაშავების შემთხვევების საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების ტექნიკა, გაცნობიერებული ჰქონდეთ მსგავს შემთხვევებში საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების სპეციფიკა, მათ შორის, დამსაქმებელი მაღალი მენეჯერული რგოლის შესაძლო პასუხისმგებლობის გამოკვეთის შესაძლებლობები და ამ მიზნით საჭირო საგამოძიებო მოქმედებები.
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა, მათ შორის, თანამშრომელთა შესაბამისი გადამზადების გზით, უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე დალუპვისა და დაშავების შემთხვევების გამოძიების ეფექტური მონიტორინგი.
- შრომის ინსპექციის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობის ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით სამსახურის ფუნქციისა და როლის შესახებ გამომძიებელთა ინფორმირება.

საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს:

- საგამომიებო პროცესის ყოველმხრივი საპროცესო ზედამხედველობა, ამ მიზნით უზრუნველყოს საქმეზე ჩასატარებელი საგამომიებო/საპროცესო მოქმედებების დროული იდენტიფიცირება და გამომიებლისთვის შესაბამისი დავალების მიცემა;
- საქმესთან დაკავშირებული ყველა შემაჯამებელი გადაწყვეტილების, მათ შორის, დაზარალებულად, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილებების დროულად მიღება;
- საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის გაჭიანურების მიზეზების იდენტიფიცირება და კომპეტენტური ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინფორმირება გამომიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის შესახებ. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა სისხლის სამართლის საქმეში და საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკავშირება სხვადასხვა სოციალურ სერვისთან;

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ უზრუნველყოს:

- ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება გონივრულ ვადაში;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს:

- შრომის ინსპექციის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობის ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი აქტის (მინისტრის ბრძანების) მიღება და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საკოორდინაციო მექანიზმის გამართვა;
- ცალკეული სამუშაოების შესრულებისას შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით ძირითადი მოთხოვნების, პრევენციული ღონისძიებების დადგენის შესახებ ახალი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და არსებითად მოძველებული რეგლამენტების ჰარმონიზაცია.

საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევებზე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესაძლებლობის გაჩენა სისხლის სამართლის კოდექსში.